“ტორპედო” (მოსკოვი) – “დინამო” (თბილისი) 2:0 (1:0).

მოსკოვი. “ტორპედოს” სტადიონი. 10 ნოემბერი.

“ტორპედო”: სარიჩევი, კრუგლოვი, პივცოვი, პოლუკაროვი, შავეიკო, დოზმოროვი, პრიგოდა, ბურიაკი (გოსტენინი), კობზევი, გრეჩნევი, რედკოუსი (სავიჩევი).

“დინამო”: გაბელია, კეტაშვილი, ჩივაძე, ჭედია, არზიანი, კაკილაშვილი (თევზაძე), სვანაძე, სულაქველიძე, გუცაევი, ზედანია, შენგელია.

მსაჯი: ვ. ჩეხოევი (ორჯონიკიძე).

გააფრთხილეს სულაქველიძე.

მატჩი დინამოელთა სწრაფი იერიშებით დაიწყო, თითქმის მთელი გუნდი შეტევაზე გადავიდა, ტორპედოელები კი გაძლიერებული ძალებით იგერიებდნენ მეტოქის იერიშებს. და სწორედ ამ დროს, მე–5 წუთზე, ერთ–ერთმა მცველმა კონტრშეტევა წამოიწყო, ბურთი დოზმოროვმა მიიღო და ანგარიშიც გახსნა – 1:0.

თამაში უაღრესად რთულ მეტეოროლოგიურ პირობებში მიმდინარეობდა, მინდორზე თოვლი იდო, ფეხბურთელებს საგრძნობლად უჭირდათ თამაში. საერთო უპირატესობა კარგა ხანს თბილისელებს ჰქონდათ, “ტორპედოს” კართან რამდენიმე სახიფათო მდგომარეობა შექმნეს ჩივაძემ, გუცაევმა, შენგელიამ, სულაქველიძემ, მიუხედავად ამისა, პირველ ტაიმში ანგარიში არ შეცვლილა.

დინამოელები შესვენების შემდეგაც უტევდნენ და კვლავ ვერ გამოიყენეს რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი, გარდა ამისა, შემტევი მოთამაშეები ნაკლებად ურტყამდნენ კარში.

მიმდინარეობდა მატჩის 86–ე წუთი, როცა ტორპედოელთა მორიგი კონტრიერიში მეორე გოლით დაამთავრა სავიჩევმა. დინამოელებმა ბევრი იდავეს ამ ბურთის თაობაზე, მაგრამ მსაჯმა საბოლოოდ აღნიშნა შედეგი 2:0 “ტორპედოს” სასარგებლოდ.

“ლელო”, 12 ნოემბერი, 1985 წ.